ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 2 დეკემბრის სხდომის
ოქმი N 15

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 2 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის ალტერნატიული ვარიანტი

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის ალტერნატიული ვარიანტის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოთხოვნით შეადგინეს ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის ალტერნატიული ვარიანტი, რომელშიც 2017-18 სასწავლო წელს მისაღები აბიტურიენტების მთლიანი რაოდენობა გაშლილია საბაკალავრო პროგრამების მიხედვით (იხ. დანართი).

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაგდა ალანიამ. მან აღნიშნა, რომ ანკეტა-კითხვარში მითითებული რაოდენობები შეთანხმებულია პროგრამების ხელმძღვანელებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის ალტერნატიულ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის ალტერნატიული ვარიანტი (იხ. დანართი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი